ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურს
იბა "ბარნოვი 140"-ის თავმჯდომარის
რევაზ წერეთელის პ/ნ 01025004320
ტელ. 577 202 006

განცხადება

ჩვენს მიერ არქიტექტურის სამსახურში შემოტანილი იყო განცხადება შეთანხმებული პროექტის კორექტირებაზე და მშენებლობის ნებართვის განგრძობის თაობაზე. განაცხადი №AR1260586 24.11.2014წ.

იბა "ბარნოვი 140"-ის საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, რომელიც მიმდინარეობს ქ. თბილისში ირ. აბაშიძის ქ. №38-ში (ყოფილი ბარნოვის ქ. 140). მშენებლობა დაწყებული იყო 1992 წელს, რაზედაც 02.07. 1991 წ. გაცემული იყო მშენებლობის ნებართვა №219.

42 ბინიანი 13 სართულიანი სახლის პროექტი კორექტირებული და შეთანხმებული იქნა 12.11.1993 წ ბრძანება №560 (პროექტის საარქივო №17/176-1992 წ) მშენებლობის ნებართვა გაგრძელებული იყო 2003წლის 16 მაისამდე.

საცხოვრებელი სახლის მშენებლობა მიმდინარეობდა რთულად, სხვადასხვა, როგორც სუბიექტური ასევე ობიექტური ხელშემშლელი ფაქტორების გამო. განსაკუთრებით საგულისხმოა აღინიშნოს ადგილობრივი მობინადრეები, რომელთა ბინები დაინგრა ჯერ კიდევ 1992 წელს და უსახლკარო მოლოდინში არიან.

ამხანაგობა "ბარნოვი 140"-ის მონაწილეების მიერ 1990-1991 წლებში სახლის მშენებლობისათვის ბანკში შეტანილი 3 450 000 მანეთი გაუფასურდა და ამხანაგობის მთელმა შემადგენლობამ განიცადა დიდი მატერიალური ზარალი.

2008 წლის 12 ივნისს გაცემული იქნა მშენებლობის სანებართვო მოწმობა №6/8231 კორექტირებულ პროექტზე თბილისის არქიტექტურის სამსახურის 12.06.2008წ №6/823 ბრძანების საფუძველზე.

ქ. თბილისის მერის 06.05.2010 წ №1631 და 15.11.2011წ №2645 განკარგულებების საფუძველზე გაცემულია სპეციალური (ზონალური) შეთანხმება. ქ. თბილისში ირ. აბაშიძის ქ. №34,36,38-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი №01.14.11.029.070, რომელიც ეკუთვნის ამხანაგობა "ვაკე-საბურთალო 2006"-ს და №01.14.11.029.017, რომელიც ეკუთვნის იბა "ბარნოვი 140"-ს).

მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი ამხანაგობა დამოუკიდებელი სუბიექტებია, რიგი საკითხები უნდა გადაიჭრას კომპლექსურად. მათ შორის K2-ის მოსაკრებელი შეთანხმებულია და გადასახდელია ორივე მხარის მიერ უკვე შეთანხმებული წილების მიხედვით, რაც დამოწმებულია ოფიციალურად და წარმოდგენილია არქიტექტურის სამსახურში. მაგრამ იბა "ბარნოვი 140"-მა შეთანხმების თანახმად კი გადავიხადეთ ჩვენი წილი K2-ის მოსაკრებლი 34564 ლარის ოდენობით, (დამადასტურებელი დოკუმენტი წარმოდგენილია არქიტექტურის სამსახურში), მაგრამ მეორე მხარეს ჯერ არ აქვს გადახდილი მისი წილი მოსაკრებელი.

საგულისხმოა საქართველოს პრემიერის მიერ 2008 წლის აგვისტომდე დაწყებული მშენებლობების მიმართ გაცხადებული კანონმდებლობაში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ შეღავათების გავრცელებით, მაგრამ როგორც ჩანს, ამ საკითხის გადაწყვეტა უახლოეს მომავალში მოსალოდნელი არ არის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვართ ორაზროვან მდგომარეობაში: ერთის მხრივ გადახდილი გვაქვს საკმაოდ სოლიდური თანხა ბიუჯეტში, მაგრამ ეს დადებით შედეგს მაინც არ იძლევა, ვინაიდან მშენებლობის ნებართვა მაინც არ გვიგრძელდება. აქედან გამომდინარე გთხოვთ მიიღოთ მხედველობაში შემდეგი გარემოებები:

1. ამხანაგობა "ვაკე-საბურთალო 2006"-ს მშენებლობა უკვე დამთარებული აქვს. მათზე ზემოქმედების რაიმე საშუალება ჩვენ არ გაგვაჩნია. თუ ისინი არ გადაიხდიან თავიან წილ გადასახადს, გამოდის რომ ჩვენ მშენბლობას ვერ გავაგრძობთ და ბოლომდე ვერ მივიყვანთ.
2. აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული, რომ იბა "ბარნოვი 140"-მა მშენებლობის ნებართვა მიიღო და მშენებლობა დაიწყო 1992 წელს, რომლის კორექტირება და შეთანხმება მოხდა 2008წ ივნისში, რაზედაც არსებობს შესაბამისი დოკუმენტაცია.
3. აღსანიშნავია ის ფაქტი რომ ქვეყნის პრემიერის ინიციატივით საკანონმდებლო ორგანოში წარდგენილია წინადადება შეღავათების გავრცელებაზე, იმ მშენებლობებზე რომლებიც დაწყებულია 2008 წლის აგვისტომდე. აღნიშნული წინადადების ხელისუფლების მიერ დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაშ შესაძლებელია ეს შეღავათები გავრცელდეს ჩვენს ობიექტებზე.

გთხოვთ გაითვალისწინოთ აღნიშნული გარემოებები და მოგვცეთ მშენებლობის განგრძობის ნებართვა თუნდაც დროებით მიმდინარე წლის ბოლომდე, საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტამდე, რათა შევძლოთ მშენებარე სახლის კარკასის გადახურვა და შენარჩუნება.

მზად ვართ მივიღოთ მინაწილეობა თქვენი სამსახურის მიერ ამ საკითხის განხილვაში და პირადად განვმარტოთ დადავასაბუთოთ ჩვენი პოზიცია.

ამხანაგობა "ბარნოვი 140"-ს

თავმჯდომარე რ. წერეთელი